საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 02/1385
24/02/2026

1385-01-2-202602241144

ი/მ გოგა თოდაძეს (პ/ნ 01001085355)

მისამართი: ქალაქი თბილისი, ლიბანის I ჩიხი №3, ბინა №47

ელ-ფოსტა: goga_todadze@mail.ru

ტელ.: 599 33 04 35; 574 41 31 45

ბატონო გოგა,

გაცნობებთ, რომ სსიპ – საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2026 წლის 23 იანვრის №04/80 ბრძანებით, სსიპ – საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ (შემდგომში – სააგენტო), თ[redacted] ნ[redacted]ის (პირადი ნომერი [redacted]) 2026 წლის 20 იანვრის №01/434 განცხადების საფუძველზე, დაიწყო საქმის შესწავლა თქვენ მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში – კანონი) შესაძლო დარღვევის თაობაზე.

2026 წლის 20 თებერვალს სააგენტოში წარმოდგენილი იქნა ნ[redacted] ნ[redacted]ის (პირადი ნომერი [redacted]) №01/1720 განცხადება, თქვენ მიერ კანონის შესაძლო დარღვევის თაობაზე.

„საქმის შესწავლის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, სააგენტო უფლებამოსილია ერთგვაროვან/მსგავს საკითხთან დაკავშირებით, ერთი მოვაჭრის მიმართ სხვადასხვა პირის მიერ წარმოდგენილ ერთზე მეტ განცხადებასთან დაკავშირებით დაიწყოს საქმის შესწავლა ერთიანი პროცედურის ფარგლებში. ხოლო, თუ საქმის შესწავლა უკვე დაწყებულია – მიღებული განცხადებები ჩართოს მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, თუკი ეს შესაძლებელია საქმის შესწავლისათვის დადგენილი ვადის გათვალისწინებით.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე, სააგენტომ 2026 წლის 23 იანვრის №04/80 ბრძანებით დაწყებულ საქმის წარმოებაში ჩართო ნ[redacted] ნ[redacted]ის 2026 წლის 20 თებერვლის №01/1720 განცხადება.

დანართი: 9 (ცხრა) ფურცელი.

პატივისცემით,

სერგო სანიკიძე

დეპარტამენტის უფროსი
მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტი